

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute



მაისი  
2024



## ელექტოენერჯის ბაზრის მიმოხილვა

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორი:

ერეკლე შუბითიძე  
უფროსი მკვლევარი

✉ [erekle.shubitidze@iset.ge](mailto:erekle.shubitidze@iset.ge)

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2024 წლის მაისში ელექტროენერჯის გამომუშავება 6%-ით გაიზარდა წლიურ ჭრილში, ხოლო 30%-ით თვიურ ჭრილში.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 1.9%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 6%-ით.
- გამომუშავებამ მოხმარებას 361 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2024 წლის მაისის თვის სრული წარმოების 26% და მოხმარების 34%-ია.
- მაისში განხორციელდა 7.9 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- მაისში განხორციელდა 319 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- იმპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 17.66 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 4.72 ცენტი, ან 12.81 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2024 წლის მაისში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა და ინდექსის მნიშვნელობა 3,372-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2024 წლის მაისში ინდექსის მნიშვნელობამ 1,965 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


## 1. წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2024 წლის მაისში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,411 მლნ კვტსთ ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 6%-იან ზრდას წარმოადგენს (2023 წლის მაისში სრული წარმოება 1,325 მლნ კვტსთ იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰესების (+7%) ზრდამ განაპირობა, მაშინ, როცა თესების (-100%) და ქარის (-14) სადგურების გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში წარმოება 30%-ით გაიზარდა (2024 წლის მაისში სრული წარმოება 1,085 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰესების (+40%) გამომუშავების ზრდამ გამოიწვია, მაშინ, როცა თბო (-100%) და ქარის (-18%) სადგურების გამომუშავება შემცირდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,050 მლნ კვტსთ შეადგინა (2%-ით მეტი 2023 წლის მაისთან შედარებით და 6%-ით მეტი 2024 წლის აპრილთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2024 წლის მაისში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 361 მლნ კვტსთ-ით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 26%-სა და სრული მოხმარების 34%-ს შეადგენდა (2023 წლის მაისში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 295 მლნ კვტსთ-იანი სიჭარბე შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების 22%-ს და სრული მოხმარების 29%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო


წარმოების უდიდესი წილი ჰესებზე მოდის. 2024 წლის მაისში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,404 მლნ კვტსთ-ს გაუტოლდა (სრული წარმოების 99.5%), თესების წარმოება – 0 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 0%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება – 7 მლნ კვტსთ-ს (სრული წარმოების 0.5%) (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2** - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



ჰესებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 46.2% გამოიმუშავა (648 მლნ კვტსთ), ხოლო სეზონურმა ჰესებმა – 44.1% (619 მლნ კვტსთ), მცირე სიმძლავრის ჰესებმა კი – 9.8% (137 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 3).


**დიაგრამა 3** - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



თესებს რაც შეეხება, 2024 წლის მაისში მათი გამომუშავება 0-ს უდრიდა (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4**

- დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში




წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰესებიდან წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 100 მლნ კვტსთ ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 15.5% და სრული წარმოების 7.1%). ენგურჰესმა 480 მლნ კვტსთ გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 74.1%-ს და სრული წარმოების 34%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5**


- ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2023 წლის მაისთან შედარებით 6%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)**




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> – 32.5% (341 მლნ კვტსთ), აფხაზეთი – 18.2% (191 მლნ კვტსთ), თელასი/თელმიკო<sup>2</sup> – 22.3% (234 მლნ კვტსთ) და პირდაპირი მომხმარებლები – 26.9% (282 მლნ კვტსთ) (დიაგრამა 7). 2023 წლის მაისთან შედარებით მოთხოვნა თელასი/თელმიკოსგან – 1.4%-ით, ენერგო-პრო ჯორჯიასგან – 1.7%-ით და პირდაპირი მომხმარებლებისგან 13.8%-ით გაიზარდა, ხოლო აფხაზეთისგან – 11.1%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, 2024 წლის მაისში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 1.9%-ით მეტი შეადგინა 2023 წლის მაისის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები – განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები – საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები – საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

**დიაგრამა 7** - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 8** - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2024 წლის მაისში საქართველოში 7.9 მლნ კვტსთ-ის იმპორტი განხორციელდა (2023 წლის მაისში იმპორტი არ განხორციელებულა) (დიაგრამა 9). იმპორტის 100% შემოვიდა აზერბაიჯანიდან. 2024 წლის მაისში საქართველოდან განხორციელდა 283 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი თურქეთში, 28.6 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი სომხეთში და 7.7 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი აზერბაიჯანში (2023 წლის მაისში განხორციელდა 186.9 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი თურქეთში, 0.05 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი რუსეთში და 61.3 მლნ კვტსთ-ის ექსპორტი სომხეთში) (დიაგრამა 10). 2024 წლის მაისში ტრანზიტი არ განხორციელებულა (2023 წლის მაისში განხორციელდა 65.1 მლნ კვტსთ-ის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში).


2024 წლის მაისში, 2023 წლის მაისთან შედარებით, ექსპორტი 29%-ით გაიზარდა.

**დიაგრამა 9** - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 10** - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ესკო

2024 წლის მაისში, 2024 წლის აპრილთან შედარებით, იმპორტი 20.4%-ით გაიზარდა (დიაგრამა 11). 2024 წლის მაისში ექსპორტი თვიურ კრილში 5-ჯერ გაიზარდა (დიაგრამა 12).




**დიაგრამა 11** - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 12** - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

## 2. საბაზრო ოპერაციები

2024 წლის მისში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 80% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა, დარჩენილი 20% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


**დიაგრამა 13** - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2024 წლის მისში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 12.4 თეთრი კვტს-ზე, რაც 45.7%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2023 წლის მისთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 2.41 თეთრს შეადგენდა კილოვატსათზე, რაც 2023 წლის მისის მონაცემის 29.9%-იან ზრდას შეესაბამება (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14** - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2024 წლის მაისში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი 15.85 მლნ ლარი იყო, რაც 2023 წლის მაისის მონაცემზე 9.6%-ით მეტია (დიაგრამა 15).


**დიაგრამა 15** - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო


2024 წლის მაისში, იმპორტის ფასები 6.50 ცენტი, ან 17.66 თეთრი იყო (დიაგრამა 16). (2023 წლის მაისში იმპორტი არ განხორციელებულა). 2024 წლის აპრილში იმპორტის ფასები 6.50 ცენტი ან 17.40 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს ლარში ფასის თვით უმნიშვნელო ზრდას. 2024 წლის მაისში ექსპორტის ფასები 4.72 ცენტი ან 12.81 თეთრი იყო. ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 33.8%-იან და ლარში 29%-იან კლებას (2023 წლის მაისში ექსპორტის ფასები 7.12 ცენტი ან 18.05 თეთრი იყო) (დიაგრამა 16). 2024 წლის აპრილში ექსპორტის ფასები 4.72 ცენტი ან 12.65 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს ლარში ფასის უმნიშვნელო თვით ზრდას.

**დიაგრამა 16** - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




2024 წლის მაისში აზერბაიჯანიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.50 ცენტს ან 17.66 თეთრს შეადგენდა კვტსთ-ზე (დიაგრამა 17).

**დიაგრამა 17** - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2024 წლის მაისში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანიდან 6.50 ცენტს ან 17.66 თეთრს შეადგენდა, სომხეთიდან - 5.60 ცენტს ან 15.21 თეთრს, ხოლო თურქეთიდან – 4.58 ცენტს ან 12.44 თეთრს (დიაგრამა 18).

**დიაგრამა 18** - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

### 3. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2024 წლის მაისში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა და HHI ინდექსი 3,372 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2023 წლის მაისის მონაცემზე (HHI 2,670 ერთეული) და 2024 წლის აპრილის მაჩვენებელზე (HHI 1,345 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2024 წლის მაისში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1,965 ერთეულს გაუტოლდა (2023 წლის მაისის მაჩვენებელზე (2,083) დაბალი და 2024 წლის აპრილის მაჩვენებელზე (2,092) დაბალი. რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

**დიაგრამა 19** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

**დიაგრამა 20** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო